Gesundheitsschädigung

Nach **deutschem Recht** das Hervorrufen oder Steigern eines krankhaften Zustandes eines Menschen, wobei unter „krankhaft“ ein vom Normalzustand der körperlichen Funktionen nachteilig abweichende Zustand zu verstehen ist. Der Begriff ist im deutschen Recht zentrales Merkmal einer Körperverletzung (§ 223 StGB), und stellt bei weiteren Delikten (z.B. beim Schwangerschaftsabbruch, § 218 StGB, bei der Brandstiftung, § 306b StGB, oder bei den Umweltdelikten, § 330 StGB) die Voraussetzung für eine Erfolgsqualifikation dar. Im **georgischen Recht** versteht man hierunter eine Störung der anatomischen Integrität oder der physiologischen Funktion des menschlichen Körpers, seiner Organe oder Gewebe, oder die Herbeiführung eines pathologischen Zustandes, der durch verschiedene äußere Faktoren verursacht wird. Die Gesundheitsschädigung wird als eigenständiges Delikt im gStGB in verschiedenen Fällen (nach der Verletzungsintensität und den Umständen) ausdrücklich geregelt:

- Art. 117 gStGB – vorsätzliche schwere Gesundheitsschädigung,
- Art. 118 gStGB – vorsätzliche minder schwere Gesundheitsschädigung,
- Art. 120 gStGB – vorsätzlich leichte Gesundheitsschädigung,
- Art. 121 gStGB – vorsätzliche schwere oder minder schwere Gesundheitsschädigung im plötzlichen spontanen Zustand starker seelischer Erregung,
- Art. 122 gStGB – schwere oder minder schwere Gesundheitsschädigung bei der Überschreitung des notwendigen Maßes der notwendigen Notwehr,
- Art. 123 gStGB – schwere oder minder schwere Gesundheitsschädigung des Täters bei dessen Festnahme mit Überschreitung des notwendigen Maßes,
- Art. 124 gStGB – fahrlässige minder schwere oder schwere Gesundheitsschädigung.

(Bhe/Mtu/Gkh)

ჯანმრთელობის დაზიანება

გერმანული სამართლის მიხედვით ადამიანის ავადმყოფური მდგომარეობის გამოწვევა ან მისი გაძლიერება, რომლის დროსაც „ავადმყოფური“ უნდა გავიგოთ, როგორც სხეულის ფუნქციების ნორმალური მდგომარეობისგან უარყოფითი გადახრა. გერმანულ სამართალში ჯანმრთელობის დაზიანების ცნება არის სხეულის დაზიანების ქმედების შემადგენლობის (გსსკ-ის 223-ე პარაგრაფი) ცენტრალური ნიშანი, ხოლო სხვა დელიქტებში (მაგ. ორსულობის შეწყვეტისას, გსსკ-ის 218-ე პარაგრაფი, ცეცხლის წაკიდების, გსსკ-ის 306b-ე პარაგრაფი, ან გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დროს, გსსკ-ის 330-ე პარაგრაფი) წარმოადგენს კვალიფიცირებული შედეგის წინაპირობას. **ქართული სამართლის** მიხედვით კი ჯანმრთელობის დაზიანება გულისხმობს ადამიანის სხეულის, მისი ორგანოსა თუ ქსოვილის ანატომიური

მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევას, ანდა პათოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით. ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული ცალკეულ შემთხვევებში (ხელყოფის ინტენსივობის და შესაბამისი გარემოებების მხედველობაში მიღების გათვალისწინებით) მოწესრიგებულია ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით:

- სსსკ-ის 117-ე მუხლი – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება,
- სსსკ-ის 118-ე მუხლი – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება,
- სსსკ-ის 120-ე მუხლი – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება,
- სსსკ-ის 121-ე მუხლი – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში,
- სსსკ-ის 122-ე მუხლი – ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით,
- სსსკ-ის 123-ე მუხლი – ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით,
- სსსკ-ის 124-ე მუხლი – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით.

(Bhe/Mtu/Gkh)